ეროვნული ბიბლიოთეკა


კიდევ უფრო ავამაღლოთ საქ. უნივერსიტეტის წამყვანი როლი, პროლეტარულ კულტურისა და მეცნიერების დაუფლების საქმეში

# ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატის პროფ.-ორგ. ორგანო

რედაქცია: ტფილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1 (უნივერსიტეტის შენობა)

ფასი 20 კაპ.

№ 5 (12) | 20 აპრილი 1934 წ. | № 5 (12)


## სახალხო განათლების კომისარის ამხ. ერ. ბედიას სიტყვა

**(წარმოთქმული საქართველოს ცაკის სესიაზე ამხ. გერმან მგალობლიშვილის მოხსენების გამო ა. წ. 22 მარტს)**

ამხანაგმა მგალობლიშვილმა თავისი ვრცელ და შინაარსიან მოხსენებაში დასახა მიმდინარე წლის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები ეს ამოცანები გამომდინარეობენ ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობის, ა. კავკ. და საქართველოს ყრილობის მითითებებიდან და გადაწყვეტილებებიდან.

მე მინდა შევეხო განათლების და კულტმშენებლობის ზოგიერთ ამოცანებს, რომელთა შესახებ აქ ლაპარაკი ქონდა ამხ. მგალობლიშვილს თავის მოხსენებაში.

მთავარ ამოცანა ჩვენს წინაშე განათლების ფრონტზე მიმდ. წელს არის მთლიანათ დამთავრება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეროვნული უმცირესობათა ჩამორჩენილ რაიონების ჩათვლით საყოველთაო სავალდებულო წავლების, ოთხწლედის ფარგლებში. ჩვენ ეხლა ოთხწლედებში გვყავს გაერთიანებული მთელი სასკოლო ჰასაკის 96, 7 პროც. სექტემბერში ე. ი. სამოსწავლო წლიდან ჩვენ მთლიანად უნდა ავიყვანოთ ოთხწლედის პირველ ჯგუფებში მთელი სასკოლო ჰასაკის ბავშვები და ამრიგად დავასრულოთ მიმდ. წელს საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება ოთხწლედების ფარგლებში. ჩვენ ოთხწლედში ეხლა უკვე გვყავს 423.475 მოწაფე. სექტემბრიდან, ე. ი. ახალ სასწავლო წლიდან გვეყოლება 427.881 ბავშვი. რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის 100 პროც.

მეორე,- ჩვენ მორიგ და რთულ ამოცანას წარმოადგენს საძირკვლის ჩაყრა, ნიადაგის მომზადება საყოველთაო სავალ-, დებულო სწავლების გატარებისათვის 7 წლედის ფარგლებში. ჩვენ ეხლა 7 წლედებში გვყავს 120. 425 მოწაფე. სექტემბრიდან კი გათვალისწინებულია გვყავდეს 154. 878 მოწაფე. ახალ სასწავლო წლიდან, ე. ი. სექტემბრიდან ჩვენ ვერ შევძლებთ მთლიანათ 7 წლედის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო წავლების დაწყებას, ე. ი. მე-5 ჯგუფებში ვერ ვღებულობთ 4 წლედის მთელ პროდუქციას, გარდა ქალაქებისა და სამრეწველო რაოდენობისა. 4 წლედებს ამთავრებენ წელს მაისში 72.000 ბავშვი. მიღებულნი იქნებიან შვიდწლედის მეხუთე ჯგუფებში 62.600 მოწაფე. რაც შეადგენს ოთხწლედის გამოშვებულ პროდუქციის 85 პროც. ჩვენ ვფიქრობთ. რომ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ ვაყენებთ საკითხს სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ახალ სასწავლო წლიდან მთელ რიგ რაიონებისათვის გადიდებულ იქნას მოწაფეთა მიღების რაოდენობა მე—5 ჯგუფებში.

მე—17 ყრილობამ მოგვცა დირექტივა იმის შესახებ, რომ მეორე ხუთწლედში სავსებით დამთავრდეს შვიდწლედის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელება. ამ დირექტივის მიხედვით ჩვენ დაგვჭირდება სახალხო განათლების იმნაირათ დაგეგმვა, რომ 1935—36 სასწავლო წლიდან მეხუთე ჯგუფებში მოვახდინოთ ოთხწლედის ყველა კურსდამთავრებულთა მიღება.

საქართველოში ჩვენ უკვე გვაქვს 89 ათწლედი. ახალ სასწავლო წლიდან, სექტემბრიდან გვექნება — 110. ათწლედებში ეხლა სწავლობს შვიდი ათასი მოწაფე. ახალ სამოსწავლო წლიდან ისწავლის 11.000 მოწაფე. რა თქმა უნდა ეს საგრძნობი ზრდა არის. მიუხედავად ასეთი დიდი ზრდისა მთელი რიგი რაიონები მოითხოვენ ახალი ათწლედების გახსნას, რასაც ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ვინაიდან ათწლედი არის საშუალო ტიპის ისეთი სკოლა, რომელმაც უნდა მოგვცეს სავსებით და ყოველმხრივად მომზადებული კონტიგენტი უმაღლესი სკოლისათვის. თუ რაიონს არ მოეპოვება საკმარისი მატერიალური საშუალებები, შენობა, მასწავლებელთა კადრი, სახელოსნო, ჩვენ ათწლედის გახსნის უფლებას ვერ მივცემთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ სწავლის ხარისხის დაცემას. ამიტომ ჩვენ ვერ წავალთ დაჩქარებითი ტემპით ათწლედის მშენებლობის საქმეში.

ორიოდე სიტყვა ჩვენი სკოლის მუშაობის ხარისხის შესახებ. დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებათა განხორციელების საქმეში ჩვენ უეჭველად გვაქვს ერთგვარი წარმატებები. სკოლა გადაყვანილია ახალ სტაბილურ პროგრამებზე. სახელმძღვანელოებზე და სწავლების აქტიური მეთოდებზე, და მივაღწიეთ იმას, რომ ნაწილობრივ მოწაფეთა სწავლის ხარისხი გაიზარდა, მაგრამ საკმაო დონეზე მაინც ვერ ავიყვანეთ. ჩვენი სკოლის სწავლების ხარისხი ვერ აკმაყოფილებს იმ დიდ მოთხოვნილებას, რომელსაც უყენებს სკოლას და სასწავლო მუშაობას თანამედროვე ეტაპზე ჩვენი პარტია. ამიტომ საჭიროა კიდევ მეტი ყურადღება სკოლის მიმართ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ თვითოეულ სკოლაზე პარტიულ ორგანოების და ალმასკომების კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობის განხორციელებას, როგორც ამაზე მიგვითითებდა ამხ. **ლ. ბერია საქ. კ. პ. (ბ). მე-9 ყრილობაზე.**

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა არის სასკოლო მშენებლობის მხრივ. მართალია აქ გამოქვეყნებული ციფრებით ცხადია რომ სასკოლო მშენებლობის თანხები გადიდებულია 8 მილ. მანეთამდე, ნაცვლად 4 მილიონისა. მაგრამ მიუხედავად ამ ზრდისა ის სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ჩვენ საქართველოში გვყავს 20.000 სასკოლო ჯგუფი და სასკოლო ოთახი კი ამ ქსელს მოეპოვება ცამეტი ათასი. მაშასადამე ჩვენი სკოლა გადატვირთულია, ორწყებად და ზოგიერთ შემთხვევაში სამწყებად უხდებათ მუშაობა, ამიტომ სასკოლო მშენებლობა მეტ ყურადღებას მოითხოვს, მეტ დახმარებას ყველა ორგანიზაციებიდან და თვით მოსახლეობიდან. უმთავრესად უნდა ავღნიშნოთ, რომ არ არის მომარაგებული სკოლა საჭირო ხელსაწყოებით, საჭირო ინვენტარით. ამ მხრივ რაიონის განათლების განყოფილებათა მუშაობა, ისე როგორც ჩვენი, უაღრესად მოისუსტებს. ჩვენ შარშან შევძელით მოსახლეობას მონაწილეობა მიეღო სასკოლო მშენებლობაში 4 მილ. მანეთის რაოდენობით. ჩვენ ვფიქრობთ საჭიროა მიმდინარე წელსაც მოუწოდოთ მშრომელ მოსახლეობას მიიღოს აქტიური მონაწილეობა, რა თქმა უნდა სრული ნებაყოფლობის საფუძველზე, სასკოლო მშენებლობის საქმეში. აგრეთვე საჭიროა ჩვენმა წარმოებებმა, დაწესებულებებმა, სამანქანო — სატრაქტორო სადგურებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღონ მეტი მონაწილეობა შეფობის წესით, მათთან მიმაგრებულ სკოლების მუშაობაში, როგორც ინვენტარის შეკეთებით, ისე მშენებლობის დასრულების საქმეში დახმარების აღმოჩენის მხრივ.



ამხ. ერ. ბედია

განსაკუთრებით ცუდათ ვმუშაობთ ჩვენ და გაცილებით უფრო ცუდათ მუშაობს მსუბუქი მრეწველობის კომისარიატი სკოლის პოლიტექნიკური ხელსაწყოების მომარაგების საქმეში. ტფილისი განათლების განყოფილებას ქონდა ერთი პატარა სახელოსნო, ხოლო სახელგამს მეორე. მსუბუქი მრეწველობის კომისარიატმა მოითხოვა, რათა მთავრობას გადაეცა ეს მათთვის და ის მოაწყობდა პოლიტექნიკური ხელსაწყოების დიდ ქარხანას. მართლაც გადასცეს მსუბუქი მრეწველობის კომისარიატს ამხ. **ბუდუ მდივანის** მოთხოვნით. მაგრამ დღემდე იქ არავითარი კაპიტალური დაბანდებანი არ მოუხდენია მსუბუქი მრეწველობის კომისარიატს. ეს სახელოსნო ისევ იმ მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიც ის იყო ამხ. ქაცარავას ხელმძღვანელობით.

(**მაჩაიძე:** მაშინ კარგ მდგომარეობაში იყო).

**ბედია:** არა, უკეთეს მდგომარეობაში არც მაშინ იყო ამხ. ბაგრატ. მდგომარეობა არ შეცვლილა და არავითარი წინსვლას აქ ადგილი არა აქვს.

წელს კი უეცრივ, ასეთი ცნობა მოგვდის, რომ მსუბუქი მრეწველობის კომისარიატი უარს აცხადებს ამ წარმოებაზე და უნდა ეს თანხა, რომელიც გადადებული იყო საქმის უკეთ დაყენებისათვის— 300 ათასი მანეთი გადასცეს სხვა წარმოებას, რაც ყოვლად დაუშვებელია, ჩვენ შემოვდივართ შუამდგომლობით. რათა დაუყოვნებლივ ეს წარმოება მასზე გათვალისწინებულ გადასაცემ თანხით გადაეცეს განათლების კომისარიატს.

ამხანაგებო, ჩვენ სასკოლო მუშაობაში დიდ მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოების დამზადებას და მათ გავრცელებას ჩვენ სკოლებში. შარშან ჩვენ დავამზადეთ 66 სტაბილური სახელმძღვანელო. 1 მილ. 937 ათასი ცალი. წელს ვამზადებთ 95 სტაბილურ სახელმძღვანელოს—2 მილ. 317 ათას ცალს. მაშასადამე, როგორც ხედავთ, ამ მხრივ მდგომარეობა წელს უკეთესი იქნება. სახელმძღვანელოების გამოცემა დამთავრდება 20 აგვისტოსათვის. 1-ლი სექტემბრისათვის კი ყველა სკოლებს უნდა ექნეს ეს სახელმძღვანელოები. ეროვნულ უმცირესობათა ენებზე ჩვენ ვცემთ 12 სახელმძღვანელოს. დანარჩენი სახელმძღვანელოები კი შემოზიდული იქნება აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმძღვანელოების მოვლის საქმე ჩვენს სკოლებში ძალიან ცუდათ არის დაყენებული. ის სახელმძღვანელოები, რომლებიც ჩვენ მივეცით შარშან სკოლებს უკვე 30—40 პროც.-ით ხმარებაში აღარ შეიძლება დავტოვოთ მომავალი წლისათვის, ვინაიდან ერთის მხრივ მასწავლებლები და მეორეს მხრივ თვითონ მოწაფეები ძალიან ცუდათ ეპყრობიან სკოლის ხელსაწყოებს და პირველ რიგში თვით წიგნს.

ორიოდე სიტყვა მასწავლებელთა გადამზადება—მომზადებისა და მათი მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ. მასწავლებელი არის წამყვანი ფიგურა ჩვენ სკოლაში. მასწავლებლის მუშაობაზე არის უმთავრესად დამოკიდებული სკოლის მუშაობის ხარისხი. მასზე არის დამოკიდებული იმ მეთოდის, იმ პროგრამის, იმ სახელმძღვანელოს გამოყენება, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ სკოლას, სკოლის მიმართულებას განსაზღვრავს პირველ რიგში თვით მასწავლებელი.

ჩვენ ეხლა გვყავს 800 მასწავლებელ, რომელსაც არა აქვს 7 წლედი დამთავრებული. ოთხწლედებში გვყავს 1200 მასწავლებელი, რომელსაც საშუალო განათლება არა აქვს. 4.000 მასწ. არ აქვს უმაღლესი განათლება ჩვენს წინაშე ისმება ამოცანა, რომ ეს მასწავლებლები კვალიფიკაცია ქმნილიიყვნენ, რათა ისინი გავატაროთ, სკოლებიდან მოუწყვეტლად, უმაღლეს და საშუალო განათლების სკოლებში. ამისათვის საჭიროა მოეწყოს 50 საღამოს ტექნიკუმი. გადიდებულ იქნას დაუსწრებელ პედინსტიტუტის მისაღებათ კონტიგენტი. 4-5 ათასამდე მასწავლებელი უნდა იქნას გატარებული საზაფხულო გადასამზადებელ კურსებზე და აგრეთვე მოეწყოს მასწავლებელთა საპროგრამო მეთოდური კონფერენციები. ეს კი მოითხოვს დამატებით ხარჯებს. ეს ხარჯები ჯერ არ არის ნავარაოდევი არც სახელმწიფოს და არც ადგილობრივ ბიუჯეტში.

შემდეგი ამოცანა შეეხება თვით პედაგოგიურ განათლების მდგომარეობას. პარტიის ბელადი ამხ. სტალინი მე-17 ყრილობაზე ამბობდა პედაგოგიურ განათლების არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ. საქართველოში გვაქვს 40 პედტექნიკუმი. ერთი უმაღლესი პედ. ინსტიტუტი ქ. ქუთაისში და ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს 3.200 სტუდენტამდე. უნივერსიტეტს ყავს 500 მეცნიერული მუშაკი, პროფესორი და დოცენტი. უნივერსიტეტთან არსებობს ასპირანტურის ინსტიტუტი, რომელშიაც მუშაობს 110 ასპირანტი. ამასთანავე უნივერსიტეტთან მუშაობს 5 საკვლევო—სამეცნიერო ინსტიტუტი. **უნივერსიტეტი ჩვენ არ გვაძლევს საშუალო სკოლის კადრებს. ის გვაძლევს კადრებს სამეცნიერო მუშაობისათვის პირველ რიგში და შემდეგ მეცნიერულ პედაგოგიურ კადრებს უმაღლეს სკოლებისათვის. ამ უმაღლესმა სკოლამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი ღონისძიება ჩაატარა კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მან მოგვცა ნიმუში პროგრამული და მეთოდური მუშაობის ნიმუშები იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის, სწავლების ხარისხის შედარებით გაუმჯობესების. მან მოგვცა ჩვენ საუკეთესო მუშაობის მაგალითები და სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვან უმაღლეს სასწავლებლად გადაიქცა საქართველოში და ამიერკავკასიაში. აი ამ უმაღლეს სასწავლებელს არა აქვს საჭირო რაოდენობის საერთო საცხოვრებელ ბინები, სტუდენტობის 37% არის დაკმაყოფილებული საერთო საცხოვრებლებით. ამიტომ ჩვენ თავიდანვე მოვითხოვდით და ეხლაც ვაყენებთ საკითხს იმის შესახებ, რომ აშენდეს წელს ერთი საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისათვის და ასპირანტებისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. და ერთი საცხოვრებელი სახლი ქუთაისის პედინსტიტუტთან.**

ამხანაგებო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი მოითხოვს უდიდეს ყურადღების მიქცევას და ის სპეციალურად განხილული უნდა იქნას სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. სესია ალბად მისცემს დირექტივას მთავრობას, რომ თანახმად მე-17 პარტყრილობის და ამხ. სტალინის მითითებებისა, ყოველმხრივ განიხილოს საკითხი პედაგოგიური განათლების შესახებ და მიიღოს ზომები პედაგოგიური სასწავლებლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და გამაგრებისათვის.

მე მინდა მივაქციო თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის საკითხს. ყოველწლიურად იზრდება მასწავლებელთა ხელფასი. მასწავლებელთა მომარაგების საქმეც გასულ წელთან შედარებით უეჭველად გაუმჯობესდა, მაგრამ არის ხშირი შემთხვევა, როდესაც მასწავლებლების უფლება უხეშად ირღვევა, რევოლუციონური კანონიერება უხეშად ირღვევა. არის შემთხვევა, როდესაც მთელ რიგ თვეებში მასწავლებლებს არ ეძლევათ ჯამაგირი ზოგიერთი სარაიონო აღმასკომების მიერ. ჩვენ გვაქვს შემთხვევა, როდესაც პირველი მარტისათვის დავალიანება მასწავლებელთა ხელფასისა უდრიდა 1 მილ. 800 ათას მანეთს. გურჯაანი, ვანი, ბაღდადი, ალბულაღი, საგარეჯო, ჭიათურა, ტყიბული და სხვა რაიონები სისტემატურად უგვიანებენ მასწავლებლებლებს ხელფასს. სადირექტივო ორგანოების და სახკომსაბჭოს მიერ მთელი რიგი ზომები იქნა მიღებული, მაგრამ ეს ზომები არ აღმოჩნდა საკმარისი. როდესაც დამნაშავეს ვეძებთ, ხშირად მიგვითითებენ განათლების განყოფილების გამგეზე, რომელიც ფაქტიურად მოკლებული არის თავისი სახსრების განკარგულების უფლებას. ზოგიერთ აღმასკომის თავმჯდომარე მასწავლებელთა ხელფასის ფონდს უშვებს საგზაო ან კომუნალურ მშენებლობის საჭიროებაზე. იუსტიციის ორგანოები კი ამ მხრივ არავითარ ზომებს არ იღებენ. არ არის შემთხვევა რევოლუციონური კა-

(გაგრძელება იხ. მე2-გვ.)

# მოუსმინოთ საბჭოთა მეცნიერებს: პროფესორებს, დოცენტებს, ასპირანტებს მათი მუშაობის შესახებ

## ლაპარაკობს
### პროფ. ლ. გოკიელი

მიმდინარე სამოსწავლო წელს დავამთავრე გამოკვლევა: სიმრავლეთა თეორიის დაფუძვნების საკითხები. ეს გამოკვლევა თითქმის უკვე დაბეჭდილია და ახლო მომავალში გამოვა მათემატიკის და მექანიკის საკვლევო ინსტიტუტის შრომების 1 წიგნის სახით. ახლა ვწერ შრომას ალბათობის თეორიის აქსიომატიკის შესახებ.

ვფიქრობ რომ ამ შრომას სექტემბრისათვის დავამთავრებ. ამასთანვე ვამზადებ ქართულ ენაზე გამოსაცემად მარქსის მათემატიკურ ხელთნაწერებს, ვწერ წერილს ამ ხელთნაწერის შესახებ და კომენტარიებს ტექსტის სხვადასხვა ადგილებისათვის. ამ სამუშაოს დავამთავრებ მიმდინარე წლის ივნისისათვის. ვამზადებ მათემატიკოსთა მეორე საკავშირო ყრილობაზე (რომელიც უნდა შესდგეს მიმდინარე წლის ივნისში ლენინგრადში) წასაკითხავად მოხსენებას ტრანსფინიტურ რიცხვების შესახებ.

ვამზადებ მასალებს გამოკვლევისათვის მათემატიკური ანალიზის ლოგიკური და არითმეტიკული საფუძვლების შესახებ. ამ გამოკვლევის წერა იქნება ჩემი მთავარი სამუშაო უახლოვესი წლეებისათვის.



პროფ. ლ. გოკიელი

ზაფხულის თვეებში განზრახული მაქვს საფუძვლიანად გადავამუშავო მეორე გამოცემისათვის ჩემი დიფერენციალური აღრიცხვის კურსი. ვწერ მთელ რიგ წერილებს ქართულ დიდ საბჭოთა ენციკლობედიისათვის. ამ წერილების ნაწილი უკვე ჩაბარებული მაქვს.

პროფ. ლ. გოკიელი.

## ლაპარაკობს
### დოც. ი. ბოჭორიშვილი

(დამკვრელი: სამჯერ იქნა დაჯილდოვებული გეგმების წარმატებით შესრულებისათვი)

ჩემს ძირითად სამუშაო თემას ამჟამად შეადგენს: „ნების თავისუფლება“ და „დანაშაულის პრობლემა“ დამთავრებული მაქვს ძირითადი წყაროების დამუშავება, ხოლო-ზოგიერთი საკითხისათვის (ფრეიდისა და მისი სკოლის გამოვლინება ჩვენს სათანადო ლიტერატურაში) ჟერჟერობით ვკრებ ლიტერატურას. ამ თემის ისტორიულ ნაწილისათვის განზრახული მაქვს ქართული ფილოსოფიის ისტორიის სათავეების დახასიათება სათანადო ეპოქის მართლ—მსაჯულობის პრინციპების განხილვასთან დაკავშირების მიზნით.

1927 წლიდან ვამუშავებდი რა საკითხს „სასამართლო ფსიქოლოგიის“ შესახებ (ნაწყვეტი გამოქვეყნდა 1929 წ. თემაზე: „ფსიქოლოგიური მხარე მოწმის ჩვენებაში“)—თითქმის დამთავრებული მაქვს შემდეგი მორიგი საკითხი, ამავე სფეროდან: „ფსიქოლოგიური ექსპერტიზა“ ჟერჟერობით ამ საკითხზე განზრახული მაქვს თეზისების სახით გამოვაქვეყნო ძირითადი დებულებები. ასეთივე დამამთავრებელ მუშაობას ვაწარმოებ ჩემ ორ წიგნზე. პირველი („მარქსიზმი და სისხლის სამ“ 1932 წ.) წარმოადგენს რეპრესიის კლასობრივი კრიტერიის საკითხის დაყენებისათვის დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მომენტთა დიალექტიურ მთლიანობის დადგენის ცდას.

აქ წამოყენებულ დებულების გაშლა-განვითარებისათვის მოხაზული მაქვს რა ძირითადი გზები-უახლესი ლიტერატურის კრიტიკული განხილვით—სისტემაში ვაყალიბებ სათანადო ფაქტიურ მასალას. მეორე წიგნის („კ.



დოც. ი. ბოჭორიშვილი

მარქსი დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ ქრესტომატია, 1923 წ.) გამოქვეყნებისათვის ვერ მოხერხდა ენგელსის შრომებიდან ამომეკრიფა ყველა სათანადო ადგილები დანაშაულის და სასჯელის შესახებ. ამ ხარვეზის შევსებისათვის ვამზადებ წიგნის მეორე გამოცემას, რომელსაც განზრახული მაქვს დაურთო ნარკვევი: „ენგელსი უმარქსოდ“; (ნაგულისხმევია ენგელის ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდი მარქსის გაცნობამდე და მისი გარდაცვალების შემდეგ.

„დანაშაულობის შემსწ. სახ კაბინეტის“ დავალებით საქ. პირობების მიხედვით ვამუშავებ საკითხს: „გვაროვნული ყოფა-ცხოვრების ნაშთების გამოვლინება დანაშაულებრივ მოქმედებაში“ (სისხლის აღება. ორცოლიანობა და სხ.). სათანადო მივლინებებით აჭარისტანში-უკვე შევუდექი მასალების შესწავლას. ანალოგიური დეტალური ცნობების მიღება შევძელი ზემო სვანეთიდანაც. განზრახული მაქვს ამ საკითხის დამუშავებას მივცე ბრიგადული ხასიათი და მიღებული დასკვნა წარუდგინო საქ. საკანონმდებლო ორგანოს კანონ მდებლობაში საჭირო ცვლილების შეტანისათვის.

## ლაპარაკობს
### ასპირანტ. ე. ვასაძე

ვმუშაობ შემდეგ საკითხზე

ვმუშაობ ზოგადი ბიოლოგიის დარგში. ამჟამად ვამზადებ სადისერტაციო თემას შეგუებისა და რევოლუციის საკითხზე—პროფ. გ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

ამ მიზნისათვის დეტალურად ვეცნობი ლამარკისა, დარვინისა და სხვათა შრომებს და ვსწავლობ მარქს-ენგელს-ლენინის შეხედულებებს ბიოლოგიისა და ბიოლოგიური განვითარების კანონზომიერების შესახებ.

გარდა ამისა ლიტერატურულად ვაფორმებ ექსპერიმეტულ შრომას „დროის რეფლექსზე„, რომელიც ჩავატარე პროფ. ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით.

განზრახული მაქვს აგრეთვე, ახლო მომავლისათვის დავამთავრო დაწყებული შრომა „დარვინიზმის ძირითადი საკითხები“.

ე. ვასაძე

## ლაპარაკობს
### პროფ. კ. მეგრელიძე

მე დღეს შემდეგ მუშაობას ვაწარმოებ:

1) უკვე იბეჭდება ჩემი ახალი წიგნი „ტყავის ტექნოლოგია“

2) გამზადებულია დასაბეჭდათ და გადაცემულია წარმოებაში მე-3 წიგნი რუსულად „Производственные процессы“

3) ვამზადებ წერილს საკავშირო გამომცემლობისათვის „Стандартизация и рационализация“-მის მინდობილობით თემაზე—სტანდარტიზაციის დღევანდელი ამოცანები.

4) ვსწერ ნარკვევს „საქონელთმცოდნეობის საგანი და მეთოდი“ საქონელთმცოდნეობის საკავშირო კონფერენციისათვის, რომელიც უნდა შესდგეს მიმდინარე წლის ზაფხულში.

5) ვხელმძღვანელობ ბრიგადას, რომელიც ადგენს სახელმძღვანელოს: „საკვებ მასალის საქონელთმცოდნეობა.“

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში, მოვაწყვე სრულიად ახალი საქონელთმცოდნეობის კაბინეტი და ლაბორატორია. ასეთნაირად მორთული სამოსწავლო ლაბორატორია საბჭოთა კავშირში ერთეულებია. ლაბარატორია—კაბინეთით უკვე ისეა გამართული, რომ სავსებით აკმაყოფილებს სასწავლო მოთხოვნილებებს.



პროფ. კ. მეგრელიძე

ეხლა საკითხი სდგას ჩვენს წინაშე დაუახლოვდეთ სამეურნეო-სავაჭრო ორგანიზაციებს და დავეხმაროთ მათ რიგ პრაქტიკულ საკითხის გადაწყვეტაში და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. ვმუშაობ ამ უკანასკნელ ამოცანისათვისაც და ვფიქრობ, რომ მასაც შევასრულებ.

კ. მეგრელიძე

## ლაპარაკობს
### პროფ. გ. ნათაძე

ამჟამად ვმუშაობ შემდეგ თემაზე

1) ბურჟუაზიული მეცნიერების უარის კრიტიკა დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის შესახებ. ეს თემა შეიცავს მეთოდოლოგიურ კრიტიკას დოპშის მაქს-ვებერის და პეტრუშევსკის უარყოფისას. გატარებული იქნება დიალექტიკურ-ლოგიკური კრიტიკა ისტორიული ფაქტებისა, ნაცვლად ფორმალური ლოგიკურ კრიტიკისა და ამ თვალსაზრისით არის დამუშავებული მასალა.

2) საფრანგეთის რევოლუცია. შარშან გამოსული წიგნის გადამუშავება და დოკუმენტალური მასალების დამატება ფრანგულ ენაზე და ქართული თარგმანებისა.

3) მეთოდოლოგიური გარჩევა საქართველოს ისტორიკოსებისა: ს· ბართოვისა და დ. ბაქრაძისა. ეს შრომა შეიცავს საქართველოს ისტორიის მასალების გამოცემას მარქსისტულ თვალსაზრისით და ამ საფუძველზე აღნიშნული ისტორიკოსების კონცეპციების კრიტიკას.

4) საქართველოს მე-18-ტე საუკ. ფეოდალიზმის შესწავლა დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმთან შედარებით და რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ პერიოდში აჯანყებების სოციალურ ეკონომიურ მიზეზების გამორკვევა.

პროფ. გ. ნათაძე

## გარდავქმნათ სამეცნიერო წრეების მუშაობა

ეჭვს გარეშეა, რომ სამეცნიერო წრეების მუშაობის გაშლა, ერთ—ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანია მარქსისტულ ლენინური თეორიის კიდევ უფრო ღრმა შეთვისებისა და დაუფლებისათვის.

სახ. უნივერსიტეტში არსებობს მრავალი წრეები, ზოგიერთი მათგანი. უმოქმედობას იჩენს (ისტ. სამეც. წრე, ეკონომ. ლიტერატ. და სხვა.)

მაგრამ არის წრეები, რომლებმაც გარდამქნეს მუშაობა და საუკეთესოდ ასრულებენ გეგმებს. ასეთი წრე არის ფილოსოფიური სამეცნიერო წრე. ამხ. გოგიბერაშვილის ხელმძღვანელობით. წრეს აქვს სამუშაო გეგმა, მჭიდრო კავშირი აქვს დიამატის კათედრასთან, ჩაბმულია სოც-შეჯიბრში, ხელმძღვანელობს უნივერსტ. მუშფაკს და სამედიცინო ტეხნიკუმს როგორც მათ შეფს. აღნიშნულ წრეში გეგმის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო 12 მოხსენება. ჯერ-ჯერობით ჩატარებულია 7 მოხსენება, აქედან 2 მუშფაკში, 2 ტეხნიკუმში და 3 უნივერსიტეტში. წრემ თავისი მუშაობა არ განსაზღვრა მხოლოდ უნივერსიტეტის ფარგლებით მან თავისი მუშაობა გადაიტანა სკოლებშიც.

ამჟამად წრე ამზადებს საჯარო მოხსენებას კათედრის ხელმძღვანელობით თემაზე: „ფილოსოფიური ფრონტი საქართველოში“ ამ თემის გარდა წრეს მზად აქვს მოხსენებები 1) „მახიზმი და ბუნების მეტყველების მეთოდოლოგიური კრიზისი“ (ამხ. მანთიძე) 2) „ტრანსცენდენტალური. დიალექტიკის პრობლემები“ (ასპ. წერეთელი). 3) „არსებისა და მოვლენის პრობლემა ჰეგელის ფილოსოფიაში“ (ამხ. გოგბერაშვილი). და სხვა.

განსაზღვრულია მოვაწყოთ პროფ. ბაბაქრაძის მოხსენება„ ფაშისტური ფილოსოფიის რაობის შესახებ“

ბ. მანთიძე

## ამხ. ერ. ბედიას სიტყვის გაგრძელება

ნონიერების ასეთი უხეში დარღვევისათვის ვინმე სასტიკი პასუხისგებაში მიეცათ.

**დოლიძე:** იყო.

**ბედია:** არ ყოფილა, ამხ. ანდრო. ის სირბილე და ლიბერალიზმი, რომელსაც პროკურატურა იჩენს, ამ საკითხში ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება, რათა ეს უმსგავსოება იქნას აღმოფხვრილი.

**დოლიძე:** თქვენ მიეცით პასუხისგებაში და ჩვენ გავასამართლებთ.

**ბედია:** არა მარტო ჩვენ, ამხ. ანდრო, თქვენც უნდა ეძებდეთ დამნაშავეს. მაწავლებლებს თავის დროზე უნდა მიეცეს ჯამაგირი, ასეთი არის პარტიის და ხელისუფლების მოთხოვნილება და ჩვენ უნდა შევძლოთ ამის პირნათლად აღსრულება.

უაღრესად ჩამორჩენილი დარგს კულტურულ ფორნტზე ეკუთვნის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე. საქართველოში 1934 წ. 1—ლ იანვრისათვის ირიცხებოდა დაახლოებით 162460 წ. კ. უცოდინარი, აქედან დღემდის ჩაბმულია სალიკვიდაციო სკოლებში 95371. უცოდინარი. ასეთი ტემპით მუშაობა ყოვლად დაუშვებელია, როდესაც ჩვენ გვაქვს პარტიის და პირადათ ამხ. ლ. ბერიას მითითება 1934 წელში წ/კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ.

წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ პროფკავშირები, კომკავშირი და მასწავლებელთა ფართო მასა.

საჭიროა აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტში დაფინანსების გადიდება წ/კ. უცოდინარობის საქმეზე. მიუხედავად ამ საქმის დიდი აქტუალობისა ფინანსთა სახკომატი 1934 წ. ფიქრობს დაფინანსების არა გადადიდებას, არამედ შემცირებას, რაც ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. საკომსაბჭომ ამ საკითხში უნდა გამოასწოროს ფინსახკომის ხაზი.

და ბოლოს ბიუჯეტის შესახებ. ბიუჯეტი საგრძნობლად იზრდება წელს, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია ბიუჯეტის მოსწავლეთა ღირებულების ნორმების შემცირება. საერთოდ რესპუბლიკის მაშტაბით 4 წლედებისათვის გვაქვს ნორმების ზრდა 51 მანეთიდან 57 მანეთამდე, მეორე საფეხურის სკოლებში 148-151 მანეთამდენ. მაგრამ თუ ავიღეთ ფინანსთა კომისარიატის ვარინტს ადგილობრივ ბიუჯეტისა, ჩვენ მივიღებთ მთელ რიგ რაიონებისათვის ნორმების შემცირებას. მაგალითად, აბაშის, ადიგენის, ახალციხის რაიონები. იქ მოსწავლეთა ნორმა მცირდება, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამ საკითხშიც უნდა მიეცეს შესაფერი დავალება ფინსაკომს.

## ვიწყებთ გამოძახებას

ცნობილია, რომ პარტია და ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს მარქსისტულ-ლენინურ თეორით, შეიარაღებული მეცნიერულ კვალიფიციურ კადრების მომზადებას.

ამ უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ იქნება დაყენებული ასპირანტურის მუშაობა, უმაღლეს სასწავლებელში როგორც სპეციალურ ისე ზოგად განათლების საგნებსა და უცხო-ენებში.

სამწუხაროდ შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ სახუნტის ასპირანტურის ინსტიტუტში ვერ არის ყველაფერი რიგზე. ხშირია შემთხვევა, როდესაც პროფესორის ან თვითონ ასპირანტის მხრივ სუსტად სწარმოებს ასპირანტის მომზადება, არ არის მასზე პროფესორის კონკრეტიულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა, ადგილი აქვს გაცდენებს, ჩამორჩენას თემების დამუშავებაში და სხვა.

რედაქციამ, „ბოლშევიკური კადრებისათვის“ გადასწყვიტა გაუწიოს სათანადო კონტროლი და შეამოწმოს ეს მდგომარეობა, ამ მიზნით უახლოვეს მომავალში ჩვენ ვაწარმოებთ პროფესორების გამოძახებას, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ ასპირანტების მომზადებას. რედაქცია სთხოვს შემდეგ პროფესორებს და დოცენტებს მოემზადონ გამოძახებაში მონაწილეობის მისაღებად:

1. პროფ· შ. ნუცუბიძე
2. პროფ. კ. მეგრელიძე
3. პროფ. გ. ნათაძე
4. პროფ. გ. ჯავახიშვილი
5. პროფ. გ. მოსეშვილი
6. პროფ. ი. ბერიტაშვილი
7. პროფ. გ. გეხტმანი
8. პროფ. ნ. მუსხელიშვილი
9. პროფ. კ. ბაქრაძე
10. დოცენტ. ი. ტატიშვილი
11. პროფ. კ. კეკელიძე
12. დოც. მ. ზანდუკელი

## ბრძანება

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი 24 მარტი 1934 წ.

რადგან დოცენტი ბ. ყავრიშვილის მიერ გაცდენილი საათები საპატიოდ არის ცნობილი მოეხსნას მას საყვედური.

ტფ. სახუნივერსიტეტის რექტორის

მოადგილე ჭკუასელი

# სახუნტის პროფესორთა, სტუდენტთა ადმინისტრატიულ და ტექნიკურ პერსონალთა მთელი შემადგენლობა ფართოდ ჩაება ახალი სესხის გავრცელებაში

## გამოხმაურება მაგნიტო გორსკელების მიმართვაზე

15 აპრილს 12 საათზე უნივერსიტეტის კლუბში შეიკრიბა უნივერსიტეტის 5000 იანი სტუდენტა, პროფესორ ლექტორთა და ადმინისტ. ტექნ. პერსონალის გაერთიანებული სახელდახელო მიტინგი.

მიტინგი გახსნა ამხ. მამალაძემ რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა ახალი სესხის გამოშვების უდიდესი სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობა მეორე ხუთწლედის ამოცანების შესრულების საქმეში ინფორმაციით გამოვიდა ამხ. კ. ჭყასელი, მიტინგი ერთსულოვნად გამოეხმაურა მაგნიტოგორსკელ დამკვრელთა მიმართვას და მთავრობის დადგენილებას ახალ სესხის გამოშვების შესახებ.

იმფორმაციის შემდეგ მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ. პროფ. ლექტორთა შემადგენლობიდან დოც. ა. ნამორაძე, დოც. კარბელაშვილი სტ. და პარტ და პროფ ორგანიზაციის სახელით მეტრეველი, კეკელიძე და სხვა.

მიტინგმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტობა პროფ-ლექტორთა და ადმინისტრაციულ ტექნიკურ მუშაკთა მთლიანი შემადგენლობა სრული ნებაყოფლობის პრინციპზე ხელს მოაწერს ერთ თვის ხელფასზე და ხელის მოწერას დაამთავრებს დღეისათვის განმავლობაში.

იქვე გაიშალა სოც-შეჯიბრი ფაკულტეტებსა და ჯგუფებს შორის სესხზე ხელის მოწერის უკეთესად ჩატარებისათვის. აგრეთვე გამოწვეულ იქნა სოც-შეჯიბრებაში ა/კ ინდ. ინსტიტუტი.

ნ. დუზუაშვილი

## ცნობა სტუდენტთა გაცდენებზე

1/III-დან 31/III-დე.—1934 წ.

| | | ს. კ. პ. (ბ) წევრი და კანდიდ. | ა. ლ. კ. კ. წევრ. | უპარტიო | რაოდენობა სტ. | რაოდენობა გაცდენილი საათ. | მ—ზ. საპატ. | მ—ზ. არასაპ. | სულ საათ. | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ეკონომიური ფაკულტ. | 244 | 802 | 798 | 1.844 | 11.432 | 5.789 | 5.643 | 166.790 | 6.85 |
| 2. | საბჭ. აღმშ. და სამართ. | 59 | 215 | 94 | 369 | 2.015 | 1.347 | 668 | 34.060 | 5.96 |
| 3. | ისტორიულ ლიტერატ. | 80 | 297 | 415 | 792 | 5.602 | 2.885 | 2.717 | 78.650 | 6.90 |
| 4. | ფიზიკო მატემატ. . . . | 16 | 147 | 194 | 357 | 2.102 | 961 | 1.141 | 43.030 | 4.76 |
| 5. | საბუნებისმეტყველო . . | 45 | 290 | 438 | 773 | 4.511 | 1.926 | 2.585 | 98.440 | 5.04 |
| | ს უ ლ . . | 444 | 1.752 | 1.939 | 4.135 | 25.662 | 12.662 | 12.908 | 12.754 | 6.18 |

## პედ-პერსონალთა გაცდენები

1 მარტიდან — 3 აპრილამდე

| გეგმით უნდა წაკითხულიყო | გაცდენილია | პროც. | საპატიო მიზეზით | პროც. | არა საპატიო მიზეზით | პროც. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10.660 | 515 | 4,83 | 461 | 4.32 | 54 | 0,51 |

## განვდევნოთ უნ-ტის დახურულ კოოპერატივიდან მიტმასნილი ელემენტები

ა/წ. 28 მარტს ტფ. ს. უ. „მს. კავ." შტაბმა მოაწყო თავდასხმა მაღაზია №1-ზე, რომლის გამგეთ ითვლება **ხუბულავა**, აღმოჩდა რომ ხუბულავა არა მარტო თავს იმარაგებს არამედ „სხვასაც ამარაგებს" მას გადამალული აღმოაჩნდა საბნის ქვედა და ზედა გადასაკვრელი, 12 ცალი, 5 ცალი კაცის საცვლები, ბალიშის პირები, ქალის საცვლები და სხვა. ის მაღაზიას სთვლის მისი საკუთრებად, ერთ თვეზე მეტია რაც თავისთვის გადადებული აქვს ერთი წყვილი კალოში, და მისი ღირებულება „უფულობის გამო" დღესაც არ გადაუხდია.

გამგეობის თავჯდომარის „პირველ მოადგილე" რუხაძემ, რომელსაც უნდა ებრძოლა თვით მომარაგების წინააღმდეგ, წაიღო ორი ზეწარი და ორი საბნის პირი, მაშინ როდესაც მაღაზიაში ზეწარი სულ 10 ცალი მიიღეს.

ასე უხელმძღვანელა გამგეობის „სამმა თავჯდომარემ" კოოპერაციის სამ მაღაზიას.

მაღაზიებთან გამოყოფილია სადუქნო კომისიები, რომლებიც უნდა აწარმოებდნენ, ყოველ დღიურ კონტროლს, მაგრამ ზოგი კომისიის წევრი უფრო თვით მომარაგებას „კონტროლიორობენ 27 მარტს მაღაზია № 1-მა მიიღო საქონელი. ამ საქონლის განაწილებისათვის გამოყოფილი იქნა კომისიის წევრი **გაბუნია** და მანაც „განაწილა", ისე, რომ მიითვისა საბნის ზედა და ქვედა პირი 3 ცალი-კაცის საცვალი-3 ცალი-და სხვა.

სახუნტის აღმასბიუროს ყოფაცხოვრების სექტორის გამგე-**შეროზია** ბრძანებით „ხელმძღვანელობს" და „ეხმარება" კოოპერაციას 28 მარტს შეროზია უგზავნის გამგეობის თავჯდომარის **მოადგილე** რუხაძეს „ბრძანება მიმართვას":

**„ამხ. რუხაძე. ეხლავე გამოგზავნე ჩვენი წილი ნავთის ორდერი მიკიჩა მინასაიმის ხელით და თუ მზად არ გაქვთ დამიწერეთ აქ პასუხი და მიზეზი დაუმზადებლობის"**

ვინაიდან აღნიშნულმა ბრძანებამ „ვერ გასჭრა" „პატივცემული შეროზია" სწერს მეორე „ბრძანება"-მიმართვას გამგეობის თავჯდომარის ამხ. თოხაძის სახელზე:

**„ნავთის ორდელების შესამოწმებლად ნუ გზავნით სხვას ამხ. რუხაძემ კეთილი ინებოს და თვითონ წავიდეს და დღესვე მოაგვაროს ეს საკითხი ხვალ თუ ნავთის ორდერები არ მექნა ამ საქმეზე შევადგენ პრაქტიკულ ღონისძიებას** (უყურეთ ორდერების შესამოწმებლად პრაქტიკულ ღონისძიებას ადგენს და გაუგზავნის სათანადო ორგანოებს).

ამაზე ამბობდა **ამხ. კაგანოვიჩი**, „პროფკავშირებს დიდი ხნით ადრე შეეძლო განთავისუფლებულიყვნენ „კანცელარშჩინის" და ქაღალდების წერისაგან და კავშირი დაემყარებიათ ცოცხალ ადამიანებთან მაგრამ აქ არა თუ დიდი ხნით ადრე, არამედ როგორც ხედავთ ეხლაც ასე ხდება, სახელდობრ „ქაღალდზე დაწერილი ფორმალური ზომების მიღება" (**კაგანოვიჩი**)

**მიმოწერა, ნავთი და გაზაფხული**

სტუდ. ქალაქის საერთო საცხოვრებელში 1000 მდე ტ. სახ. უნივ. სტუდენტია—საჭირო იყო ნავთის გადარიცხვა მათთვის ადგილობრივ. გაიმართა მიმოწერა სტუდ ქალაქის სტუდკომსა და ტ. ს. უ. სტუდენტთა ორგანიზაციებს შორის, მაგრამ მიმოწერა მიმოწერათა დარჩა. ზამთარი გაზაფხულმა შესცვალა და ნავთი არსაიდან სჩანს.

კოოპერაციის „მუშაობიდან" აღსანიშნავია კიდევ ერთი „მარგალიტი" უნივერსიტეტის ბუფეტის მოსამსახურე ქალი რომელსაც 300 მანეთი „გაუქრა" სადღაც და მის ნაცვლად, რომ პასუხი მოეთხოვათ დააწინაურეს კიდეც (ალბად ცაკის აგვისტოს დადგენილება „გატარეს" ცხოვრებაში).

დასკვნა ასეთია კოოპერაციამ უნდა შეასრულოს უმაღლეს ორგანოების დადგენილება სტუდენტთა მომარაგების უზრუნველყოფის და მთელი მისი მუშაობის გარდაქმნის შესახებ. რაც შეეხება ქურდ ბაცაცებს და ისეთ ელემენტებს, რომლებიც თვით მომარაგებას ეწევიან და ასე აბუჩათ იგდებენ კოოპერაციას დაუყონებლივ უნდა გაიწმინდონ ისინი აქედან.

ტ. ს. უ. „მკ." მტ. უფროსი

ვ. კალანდაძე.

## მომზადებული შევხვდეთ საწარმოო პრაქტიკას

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტაბილურ სასწავლო გეგმაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს განუწყვეტელ საწარმოო პრაქტიკას, რომელიც ორგანიული შემადგენელი ნაწილია თეორიული სწავლებისა. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტებს საჭიროებენ, როგორც თეორიით შეიარაღებას ისე სათანადო პრაქტიკული ცოდნის მიღებასაც. რადგან„ თეორია თუ იგი ნამდვილი თეორიაა, აძლევს პრაქტიკოსს ორიენტაციის აღების საშუალებას, პერსპექტივის სიცხადეს, რწმენას მუშაობაში-რწმენას ჩვენი საქმის გამარჯვებაში" (**სტალინი**).

საწარმოო პრაქტიკა მიმდინარე სამოსწავლო წელს, ტფილისის სახ. უნივერსიტეტში, ტარდება თითქმის ყველა ფაკულტეტების მე-III-მე კურსებზე, რომელსაც უჭირავს მესამე კურსის სტუდენტთა სასწავლო გეგმის არა ნაკლები 30 პროცენტისა, რაც გამომდინარეობს საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის დადგენილებიდან.

მიმდინარე წელს საწარმოო პრაქტიკა ჩატარდება ორივე სემესტრის თეორიული სწავლების დამთავრების შემდეგ.

თეორიული სწავლა ეკონომიურ, ისტორიულ—ლიტერატურული, საბჭოთა აღმშენებლობის, სამართლის და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე (მესამე კურსზე) უნდა დასრულდეს 17 აპრილს 17 აპრილიდან 1—ლ მაისამდე ჩატარდება სესიები (საწარმოო პრაქტიკის საგნებში, როგორც თეორიულის, ისე საწარმოო პრაქტიკის ჩაბარებები მოხდება საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ)

საწარმოო პრაქტიკაზე წელს მიდიან: ეკონომიური ფაკულტეტიდან—478 სტუდენტი. საბუნებისმეტყველო ფაკ-დან 166 სტ.. ისტ. ლიტ. ფაკ-ტიდან 146 სტ. და სამართლის 97 სტ. სულ -887 სტუდენტი.

საწარმოო პრაქტიკის სექტორმა ფაკულტეტებთან ერთად უკვე შეადგინა ცალ—ცალკე ფაკულტეტებისათვის საწარმოო პრაქტიკის ჩატარების კონკრეტიული გეგმა. დაზუსტებულია საწარმოო პრაქტიკის საგნები. შედგენილი და დაბეჭდილია საწარმოო პრაქტიკის პროგრამები და დაიწყო მათი დაყვანა სტუდენტობამდე სტუდენტობის უმრავლესობამ უკვე იცის, ვის სად, რომელ დაწესებულებაში მოუხდება საწარმოო პრაქტიკაზე მუშაობა, რომელ საგანში და სხვა.

საწარმოო პრაქტიკისთვის შედგენილია ხარჯთა—აღრიცხვა და დადებულია ხელშეკრულებები სათანადო დაწესებულებებთან საწარმოო პრაქტიკის წარმატებით ჩატარებისათვის. საწარმოო პრაქტიკის ჩატარების პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის მიერ საწარმოო პრაქტიკის სექტორს ფაკულტეტების დეკანების კათედრის გამგეებს, და საწარმოო პრაქტიკის საგნის ხელმძღვანელებს.

როგორც წესი, სტუდენტს საწარმოო პრაქტიკის პერიოდშიაც ეძლევა თავისი სტეპენდია და მას მთლიანად ღებულობს საწარმოო პრაქტიკაზე წასვლის დროს. ამის გარდა სტუდენტს ეძლევა რაიონში ყოფნის პერიოდში დღიურები 2 მანეთი და ბინა, ან ბინის ქირა (ერთი მანეთი) თანახმათ საკავშირო მთავრობის დადგენილებისა

საკავშირო ცაკის დადგენილების თანახმად მომარაგების მხრივ, საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტი გათანასწორებულია იმ ორგანიზაციის მუშამოსამსახურებთან, სადაც სტუდენტი საწარმო პრაქტიკას გადის.

უახლოვდებით საწარმოო პრაქტიკის დაწყების დროს, საჭიროა უნივერსიტეტის ყველა ორგანიზაციებმა გამახვილონ ყურადღება საწარმოო პრაქტკიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის. საჭიროა დროზე თეორიული მეცადინეობის მოთავება სტიპენდიების და სამგზავროების დრზედ გაცემა სტუდენტებისათვის, საწარმოო პრაქტიკის საგნის ხელმძღვანელმა უნდა განმარტონ ჯგუფებში ადგილებზე თვითეულ საგნის ჩატარების მეთოდი და სხვა. გარდა ამისა პრაქტიკის კარგი ხარისხით ჩატარება დამოკიდებულია თვით სტუდენტთა მონდომებაზე და აქტიურ მონაწილეობაზე. საჭიროა სტუდენტთაშორის აქედანვე გაიშალოს ახსნ-განმარტებით მუშაობა იმის შესახებ რომ საწარმოო პრაქტიკის წარმატებით ჩატარებისაგან დიდათ არის დამოკიდებული ცაკის დადგენილების რეალიზაცია და რეორიული სწავლის ხარისხობრივი გაუმჯობესება.

ი. ხირსელი.

## კმარა, მეტის ატანა შეუძლებელია

(სამართლის ფაკულტეტი)

საბჭ. აღმშ. და სამართლის ფაკულტეტის პარტ-კომკავშირულ და პროფორგანიზაციების მტკიცე ხელმძღვანელობით ეს ფაკულტეტი სათანადო მაჩვენებლებით წარსდგა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანიზაციების წინაშე, პირველი სემესტრის შედეგების შეჯამების დროს.

მეორე სემესტრში ფაკულტეტი მტკიცეთ შეუდგა, მეორე საკავშირო სოც. შეჯიბრებაში აღებულ ვალდებულებათა შესრულებას, მაგრამ ზოგიერთ ჯგუფებში ჯერ კიდე არ არის მუშაობა გარდაქმნილი და ადგილი აქვს ჩამორჩენას მაგალითად № 40 ჯგუფში (აღმშენებლობის სექც. II კურსი) მოიპოება ისეთი სტუდენტები, რომლებიც ლექციებზე წერილების წერისა და სიცილის მეტს არაფერს არ აკეთებენ და ხელს უშლიან ჯფუფის ნორმალურ მუშაობას.

ა/წლის 3—აპრილს **პროფ. ჯავახიშვილის** ლექციაზე აღნიშნული ჯგუფის **სტ.თამარა ელიზბარაშვილმა** თავისი არა სტუდენტური მოქმედებით გამოიწვია პროფესორის მიერ ლექციის დატოვება და ამის გამო 60—სტუდენტს გაუცდა ერთი საათი. ამავე ჯგუფის **სტუდენტმა ჯიბუტმა** ასეთივე უწესრიგო მოქმედებით შეაფერხა ლექციის ნორმალური მსვლელობა.

მე 39—ტე ჯგ. (სამართ. სექც. I კურსი) დაყენებული არის აშკარა გარღვევის წინაშე, ადგილი აქვს შრომის დისციპლინის და საყოფაცხოვრებო ნორმების დარღვევას. ამ ჯგუფში არიან სტუდენტები, რომლებიც ხელს უშლიან გეგმების შესრულებას. ასეთებია: ჯგუფის აკად. რწმუნებული **იური შამილი.** (უპარტიო). რომელიც სისტემატიურად აცდენს ლექციებს არა საპატიო მიზეზით. ამას გარდა ის შემჩნეულია ლექციებიდან გაპარვაში და ჟურნალიდან „არა"-ს ამოშლაში. იგი ხშირად ატყუილებს ლექტორებს, რომ,: „მე უნდა დავეწრო ბიუროს სხდომას და ლექციდან გამანთავისუფლე"-ო.

ი. შამილი სასტიკად გაურბის ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობას, იგი არ იხდის არცერთ ნებაყოფლობით გამოსაღებს არ გადაუხდია უნვერსიტეტის სახელობის თვით მფრინავის ასაგები ფონდის გასაძლიერებელი ფული, იმ დროს როდესაც ჯგუფის დადგენილებით ყველამ გადიხადა ათათი მანეთი. იგი არ არის არცერთი თავისუფალი ორგანიზაციის წევრი, არ იხდი სსაწევრო გადასახადს პროფკავშირში. არა აქვს გამოწერილი არც ერთი გამომცემლობა. როდესაც მიმართავენ მას ამხანაგები, რომ ჩვენ ყველა ვიხდით და შენც სტიპენდიანტი ხარ-უნდა გადაიხადოო, იგი ასე უპასუხებს: „შენ „დურაკი" ხარ და იმიტომ იხდი"-ო. მას არ მიუღია მონაწილეობა ჯგუფის მირ მოწყობილ არცერთ შაბათობებში. შამილს ჰქონდა ჯგუფში ანტი მარქსისტულ-ლენინური გამოსვლა, რაც დროულად იქმნა გამოაშკარავებული და აღკვეთილი იდეოლოგიურად მტკიცე ამხანაგების მიერ.

ყოველივე ამის შემდეგ შამილი მაინც არის ჯგუფის აკადემ. რწმუნებული, ღებულობს სტიპენდიას და მხოლოდ აშკარა ლაყობობით ქმნის შეხედულებას ვითომც იგი აქტიური მომუშავეა.

ამავე ჯგუფში არის სტუდ. **მიტროფანე ჯანელიძე,** რომელიც გასულ წელს გარიცხული იყო ქურდობისათვის, მაგრამ მაინც მოახერხა თავის აღდგენა და ჯგუფს სახელი გაუტეხა თავისი ცუდი ყოფა ქცევით. **ჯანელიძე** ხშირად არღვევს სამხედრო დისციპლინს რისთვისაც სამხედრო ხელმძღვანელმა იგი არა ერთხელ გააძევა წყობილებიდგნ მან ლექტ. ბერძენიშვილის ლექციაზე მრავალჯერ გაიმეორა ლექტორის გასაგონად უშვერი სიტყა, რითაც ჯგუფის ნორმალური მეცადინეობა შეწყდა რამოდენიმე წუთით.

სტუდ. გრიგოლ ჩაჩუა ზემოხსენეაულთა „საპატიო" კოლეგაა. იგი ცნობილია, როგორც გარყვნილი ყოფაქცევის მქონე. მან ლექციაზე—შეურაცყოფის მიყენებით აატირა სტ. **ქალი ე. გ—ლი.** ჩაჩუა არის შრომის დეზორგანიზატორი და დეზერტირი. მან ჯგუფის სამკუთხედის დემონსტრატიულად თავზედ დაახია შაბათობაზე წამსვლელ სტუდენტრა ხელმოსაწერი სია. ჯგუფის კრებაზე კომორეს, რომელიც ამუშავებდა შრ. დისციპლინის საკითხს—ჩაჩუამ „რეპლიკა", ესროლა: **„ეს მიქარვა არის"—ო** და ასტეხა აურზაური.

ზემოაღნიშნულ სტუდენტთა ხულიგნურ საქციელით № 39 წ. № 40 ჯგუფები საფრთხის წინაშე სდგას. საჭიროა დროზე განთავისუფლდენ აღნიშნული ჯგუფები ამ უმსგავს ელემენტებისგან.

ხ—ც—ელი.

პ ა რ ტ - მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

# ფართოდ გავშალოთ მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა უნივერსიტეტში

## მე-17 პარტყრილობის დადგენილებები მუშავდება მაღალი ხარისხით

ტფ. სახ. უნივესიტეტის პარტიული ორგანიზაცია დროულად შეუდგა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხ. სტალინის მოხსენების დამუშავებას, გარდა იმისა, რომ ამხ. სტალინის მოხსენება მისი გამოქვეყნების დღესვე დამუშავებული იქნა უნივერსიტეტის საერთო კრებაზე სადაც ესწრობოდა სტუდენტთა, პედ-პერსონალთა და ადმინისტრატული ტექნიკურ პერსონალთა უმრავლესობა ის გადატანილი იქნა ამ მოხსენების მთლიანად ათვისების მიზნით პოლიტ-განათლების ქსელში, მოხსენება დამუშავდა ორ მეცადინეობაზე მესამე მეცადინეობაზე ჩატარდა სპეციალურად ამხ. სტალინის მოხსენების შეთვისების შემოწმება, შემოწმებამ გვიჩვენა სასურველი შედეგები.

ყველა ტიპის სკოლა-წრეები გადაკეთებული იქნა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შემსწავლელ წრეებათ.

გაზრდილი იქნა წინა მეცადინეობასთან შედარებით მსმენელთა დასწრება 95 პროც.-ამდე. დაყვანილია უმიზეზოდ გაცდენა მინიმუმადე, მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საუკეთესოდ დამუშავებისათვის ბრძოლაში აქტიურ და გადამწყვეტ როლს თამაშობენ ზოგიერთი ჩვენი პროპაგანდისტები, რომლებიც სისტემატიურად ატარებენ მეცადინეობას, მოდიან შეიარაღებული მდიდარი მასალებით და სცდილობენ ასწიონ მსმენელთა პოლიტიკური მომზადების დონე, ახდენენ სისტემატიურად შეთვისების შემოწმებას და კონტროლს უწევენ მსმენელის მიერ მასალების დამუშავების საქმეს ასეთები არიან: ეკონ. ფაკ.

1. მირიანაშვილი ვასო
2. ბაჯაძე იოსები
3. პატარაია ბარნაბი.

ისტ. ლიტ. ფაკ. 1. ხავთასი გრიგოლ

მუშფაკი:

1. ლალიაშვილი
2. შუშანია გიორგი
3. ხელაძე
4. ტატიშვილი გრიგოლ.

აცდენს სისტემატიურად საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პარტ-პოლიტ სკოლის პროპაგანდისტი ამხ **კ. ანდრიაძე**

გვყავს საუკეთესო მსმენელები, რომლებიც არ აცდენენ მეცადინეობას, ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას, თემას ამზადებენ ყველა მითითებული ლიტერატურიდან არიან მაგალითის მიმცემი სხვა მსმენელთა და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებას ითვისებენ ფრიადზე და კარგზე. ასეთებია, ეკონ: ფაკ. 1. მიქელაშვილი ელენა (პარტ კანდიტატი) 2. ფალავანდიშვილი სევერიან, პარტ--კანდიტატი 3. ბრეგვაძე ალექსანდრე უპარტიო 4. ჭკადუა აკაკი პ/წევრი. ისტ. ლიტ. ფაკულტეტიდან. 1. მიქატაძე გრიგოლ პ/წევრი 2. კაშია სევერიანი უპარტიო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან 1. ჯაველიძე გრიშა.

სამართლის ფაკ.

1. შეწირული გრიშა პ/კ 2. დემეტრაშვილი გიორგი. მუშფაკი . 1. ფაცურია რაჟდენ პ/კ 2. ჰინჭარაძე ლუბა პ/კ 3. მახარაძე დავით 4. შეყრილაძე, 5. ჩიქვინიძე

ჩვენ გვყავს ისეთი მსმენელებიც რომლებიც ვერ არიან დაინტერესებული მარქსისტულ-ლენინურ თეორის დაუფლებით.

**ზ. კაპანაძე.**

## გარდაქმნის შედეგად

მე-17 პარტ-ყრილობის დადგეალებათა საფუძველზე ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის პირველი პარტ. ორგანიზაციის ერთი [illegible] შაობის გამოცდილების ფაქტები გვიჩვენებს შემდეგს:

შრომის დისციპლინის განმტკიცების დარგში თუ თებერვალში [illegible] გაცდენა თითოეულ სტუდენტზე უდრიდა 2,21 პროც. მარტში ასეთი [illegible] გაცდენა თითოეულ სტუდენტზე უდრის 0,93 პროც. [illegible] მიხედვით გაცდენების [illegible] პროცენტულად:

მაგ. მარტში I-ლი ქვსდღიურში გაცდენა უდრიდა. 1,02% „

III — „ „ — 1 „

IV — „ „ — 0,6 „

V — „ „ — 0,45 „

ასევე—თუ ლექტორთა გაცდენები თებერვალში უდრიდა . . 84. აკ . . საათს მაშინ მარტში ის დაყვან 38. საათამდე [illegible] აკაკი, მაჩიტაძე გიორგი, პაპოშვილი ივანე და სხვ). ასევე წითელ დაფაზე მოთავსებულია მიმდინარე სოც. შეჯიბრის შემოწმების შედეგად-8-აკად. ჯგუფი, მაშინ, როდესაც გასულ მუშაობაში ფაკულტეტის მაშტაბით საუკეთესო მაჩვენებლებს იძლეოდა ნაცვლად რამდენიმე ჯგუფისა ერთი ისტ. III-კურსი.

არა ნაკლებ მიღწევა აქვს პ/ორგანიზაციის პარტიულ განათლების დარგში მაგ. პოლიტ. განათლების ქსელში ჩაბმულ მსმენელთა დასწ. თუ თებერვალში უდრიდა 98 პროც. მარტში უდრიდა 100 პროც. პოლიტ. ქსელებში სწარმოებს სისტემატიური აღრიცხვა და მომზადება კერძოდ დიდი ბელადის ს ტ ა ლ ი ნ ი ს მოხსენების შეთვისებათა და მე-17-პარტ. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის ირგვლივ.

მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მუშაობის გარდაქმნის შედეგად სტუდენტთა განტვირთვა ზედმეტი კრებებისაგან მაგ. თუ პარტიულ სტუდენტებზე თებერვალში მოდიოდა პარტ. დატვირთვა 35 საათი—მარტში კი მოდიოდა 17—საათი; მთლიანად ფაკულტეტზე თუ თებერვალში [illegible] დატვირთვა 43-საათს მარტში ის უდრიდა 23 — საათს. [illegible]

1) ელიაძე ვალერიან—(53-აკად. საათი) 2) ჩოხელი მარუტა (52-აკად. საათი) 3) ჯაფარიძე ქეთო (64 აკად. საათი) 4) ჩიჩიშვილი ვახტანგი (60 აკად. საათი)

მოეხსნა სტიპენდია ამავე მიზეზით: 1) ბურჭულაძე იაკობს, 2) აბაშიძე გრიგოლს და სხვა.

**მოეხსნა დახმარება 1) კალანდაძე გრიგოლს;**

**მიეცა გაფრთხილება; იორამაშვილი იოსებს, ძიძიგური აკაკს, ანდღულაძე ნიკოლოზს და სხვებს.**

**გამოეცხადა აგრეთვე საყვედური საპატიო გაცდენების დროზე არ გაფორმებისათვის: გოცირიძეს, ბოლქვაძეს და სხვა.**

ჯგუფში შრომის დისციპლინის სათანადოდ არ განმტკიცებისათვის გამოეცხადა გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა ჯგუფის სამკუთხედებს: **რუსული I-„ც-“ ჯგ. რუსული II-და სხვა. პარტ. ორგებს: გავაშელაშვილს, მიქავტაძეს და სხვა.**

ენერგიული მუშაობა, რასაც ისტ. ლიტ. ფაკულტ. პარტ. ორგანიზაცია ფაკულტეტის სამკუთხედთან ერთად აწარმოებს მიმდ. გეგმების შესრულებისათვის, თავდებია მე-17 პარტ. ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლისა.

**ნინა ბერაია**

## წარმატებით ვსწავლობთ

(ფიზ. მატემატ. ფაკულ. № 3 პოლიტ-წრე)

პოლიტწრე დაკომპლექტებულია 1-ლი კურსის სტუდენტებისაგან. გაერთიანებულია 32 კაცი. დღემდე ჩატარებულია 23 მეცადინეობა, არ გამცდარა არც ერთი საათი და იმ თავითვე ყურადღება ექცეოდა დასწრებას შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას. აღებულია კურსი მიმდინარე პოლიტიკის სათანადო საკითხების გულდასმით და ღრმად შესწავლისაკენ, რაშიც უზრუნველყოფილია მსმენელთა უმრავლესობის აქტივობა. ამას ამტკიცებს ა/წ· 5 მარტს მოწყობილი პოლიტომი ამავე ფაკულტეტის № 4 პოლიტ წრესთან, რომელმაც კომკავშირის ცენტრალურ, რაიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციის დამსწრე პ/მგებ. ამხანაგების შეფასებით გვიჩვენა მსმენელთა იდეურ—პოლიტიკური მომზადების კარგი ხარისხი.

9 თებერვლიდან შეუდექით ს. კ. პ. (ბ) მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლას. უფრო მეტად გაიზარდა მსმენელთა ინტერესი და აქტიობა. ვიბრძვით იმისთვის, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი **„შევისწავლოთ ყურადღებით, შევისწავლოთ კეთილსინდისიერად, შევისწავლოდ ხეირიანად“** (კოსარევი).

წრის მსმენელებმა სოც-შეჯიბრში აიღეს დამატებითი ვალდებულებანი. გაძლიერდა მათი პასუხისმგებლობა. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ინდივიდ. მუშაობის შემოწმებას, თუ როგორ ამუშავებენ მიცემულ ლიტერატურას და როგორია თითოეულის შეთვისების ხარისხი. **ამმხრივ წინ მიდიან: მარგველიან, თოდუა, ქაჩლიშვილი, ჩიკოიძე გოგონა, გრძელიძე, კიწურაშვილი, ძიძიგური, ყველაიძე, ჩამორჩებიან: ასათიანი, პოლიექტოვი, ჩხაიძე, წერეთელი.**



დამკვრელი პროპაგანდისტი

**ამხ. ო. ბეროძე**

გეგმით გათვალისწინებულ 11 თემიდან მე-17 პარტყრილობის შედეგების შესახებ, დღემდე დამუშავებულია 8 თემა. გარდა ამისა ამხ. სტალინის მოხსენება დამუშავებულია წინასწარ 3 თემად. უკვე მომხდარია დამუშავებულ თემების მიხედვით მსმენელთა შემოწმება და ჩამორჩენილთა ბუქსირზე აყვანა. თემები მუშავდება საუბრის სახით, რომელშიც ირკვევა მოცემული თემის ყველა ძირითადი საკითხები. იმავე მეცადინეობაზე შუქდება შეკითხვებით დასმული გაუგებარი კითხვები, ხოლო შემდეგ ხდება მითითებულ მასალის მსმენელთა მიერ დამუშავებისა და თემის შეთვისების შემოწმება. გამოყენებულია მსმენელთა მიერ ურთიერთ კითხვა-პასუხის და პოლიტ ბრძოლის მეთოდიც, რაც აძლიერებს მათ აქტიობას.

აღსანიშნავია პარტკაბინეტის კომკავშ. სექციის სწორი და დროული მეთოდ ხელმძღვანელობა. პროპსემინარზე დასწრების მხრივ არ არის დაუსწრებლობის არც ერთი შემთხვევა. ოპერატიულია ფიზ. მათემ. ქ. ქ. უჯრედის მუშაობაც ამ მხრივ.

ჩვენ შემდგომშიაც ვიბრძოლებთ ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხ. სტალინის მოხსენების ყურადღებით, კეთილსინდისიერად და ხეირიანად შესწავლისა და ამ საფუძველზე მთელი ჩვენი მუშაობის გარდაქმნისათვის.

პროპაგანდისტი **ო. ბეროძე**

## იქ სადაც ჯგ. სამკუთხედი კარგად მუშაობს

მე-III-მე კურსის № 33 ჯგუფის სამკუთხედმა ჯერ კიდევ I სემესტრის დასაწყისში სერიოზულად მოჰკიდა ხელი ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციის საქმეს. ამ სერიოზულ ამოცანის ბოლშევიკურად შესრულებისათვის ჯგუფის სამკუთხედმა მუშაობის ცოცხალი ხელმძღვანელობის საფუძველზე მიაღწია იმას, რომ ჯგუფის სასწავლო გეგმა 100 პრ. იქნა შესრულებული, ჯგუფის საშუალო ნიშანი აკადემიურ ფრონტზე უდრიდა 4-ს 30 სტუდენტიდან სოცშეჯიბრებაში ჩაბმული იყო მთელი 100 პროც,. დამკვრელობაში 60 პროც. მიღებული ვალდებულებები როგორც შემოწმებამ გამოარკვია, მთლიანად იქნა შესრულებული. დისციპლინის საქმეში სამკუთხედმა უდიდესი გარდატეხა მოახდინა დაგვიანება არა საპატიო მიზეზით 0, 9პროც. იქნა დაყვანილი. უფრო საინტერესო და საქმიანი. ჯგუფის სამკუთხედის მუშაობა მეორე სემესტრის სასწ. საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში. მეორე სემესტრში დამკვრელობის პროც. უკვე ავიდა 70-დე. სისტემატიურად ტარდება შემოწმება, შემოღებულია წითელი და შავი დაფა, წითელ დაფაზე უკვე მოხვდა 11 სტუდენტი, შავ დაფაზე 3 სტუდენტი როგორც უდისციპლინო და ხელის შემშლელი ამხანაგები. აღსანიშნავია ის, რომ სრულიად აღმოფხვრილია ლექციების უმიზეზოდ გაცდენა გაიზარდა სტუდენთა აქტივობა სემენარებზე.



ამხ. დ. ფირცხალაშვილი

(ეკ. ფაკ. № 33 ჯგუფის ხელმძღვანელი)

სამკუთხედმა საზოგადოებრივი დატვირთვა. სტუდენტთა შორის რაციონალურად გაანაწილა, არც ერთი სტუდენტი არ არის დარჩენილი დატვირთვის გარეშე. ჯგუფის სტუდენტობა ჩაბმულია 3 თავისუფალი ორგანიზაციის აქტიურ წევრობაში.

თუ 1 სემესტრში ჯგუფის 6 სტუდენტი იყო დარჩენილი კოპერაციის გარეშე და საპაიო თანხის დავალიანება დიდი იყო მე II სემესტრში სამკუთხედმა მიაღწია იმას, რომ არც ერთი სტუდენტი არ არის დარჩენილი კოპერაციის გარეშე.

ჯგუფში არ არს არც ერთი სტუდენტი რომ ორი გაზეთი არ ჰქონდეს გამოწერილი, ჯგუფიდან 25 კაცმა ხელი მოაწერა ქართულ მწერლობაზე. ჯგუფის ყველა წევრებს გამოწერილი აქვთ მარქს-ენგელსის თხუზულებები, ყველამ შეიტანა 5 მანეთი უნივერსტეტის თვითმფრინავის ფონდში, დაფარულია პროფ. და თავისუფალ ორგანიზაციების საწევრო ანარიცხები, სტუდენტობა ჩაბმულია ურთიერთ და შემნახველ სალაროს წევრებათ.

ჯგუფის სამკუთხედმა მოაწყო ჯგუფის მიერ მე-17 პ. ყრილობის დადგენილებათა დამუშავების და შეთვისეთის შემოწმება. სამკუთხედმა ჯგუფის სტუდენტობა ჩააბა საუკეთესო კონსპექტის შედგენის კონკურსში.

მე II სემესტრის სასწ. გეგმების შესრულების მიზნით მოეწყო დამატებითი სემინარები, ნებაყოფლობით პრინციპზე ჩამოყალიბებულია 6 დამკვრელი მოწინავე ბრიგადა, სადაც მეცადინეობა შედგენილ გეგმის საფუძველზე მიმდინარეობს ჯგუფის სამკუთხედმა გარღვევების თავიადან აცილბის მიზნით სათანადო ზომები მიიღო და ლექციების გამცდენ ლექტორების შესახებ სისტემატიურად აწვდის ცნობებს ფაკულტეტის ხელმძღვანელობას.

მიღწეული წარმატებები შედეგია ეკ. ფაკ. სამკუთხედის ბოლშევიკური კონკრეტული ხელმძღვანელობის, ჯგუფის სამკუთხედის საქმიანი მუშაობის.

**ჯგუფის პარტორგი არის ამხანაგი ივ. კუპატაძე, ჯგუფის ხელმძღვანელი ამხ. დ. ფირცხალაიშვილი, პროფრწმუნებული ამხ. რ. ხუდადოვა კომორგი ამხ. აბუანდაძე.**

**პ. მეტრეველი.**

## ჯგუფის ხელის შემშლელები უნდა აილაგმონ

სახუნტის საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ფაკულტეტის მე- 3 კურსის № 43 ჯგუფი სასწავლო გეგმის შესრულებისათვის და შრომის დისციპლინისათვის ბრძოლაში, ერთ-ერთ მოწინავე ჯგუფად ითვლება.

ამ ჯგუფმა განვლილ სემესტრის შედეგების შემოწმების დროს პირველობა აიღო: **შრომის დისციპლინის, საზ. მუშაობის, აკადემიურ წარმატებების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით.**

რისთვისაც ჯგუფი შეტანილი იქნა წითელ დაფაზე, და დაჯილდოებული იქნა მთელი კოლექტივი თეატრში წასვლით.

ჯგუფი მტკიცეთ იბრძვის მეორე სემესტრის სასწავლო გეგმის შესრულებისათვისაც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუშაობაში მას ხელს უშლის ზოგიერთ უდისციპლინო სტუდენტები. ასე მაგალითად: სტუდ **დ. ბოჭორიშვილი** არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ამ საბრძოლო ამოცანის შესრულების საქმეში. მან მიმდინარე აღრიცხვის დროს ლექტორ **ტატიშვილის** მიმართა ასეთი სიტყვებით: **„შენ“მე მახრჩობ ბევრს მეკითხები და სხვა.** რის გამოც ლექტორმა დასტოვა ჯგუფი და გაცდა ლექცია, რაც ლექტორის მხრივაც დაუშვებელია.

ასეთი უხეში საქციელისათვის, და დისციპლინის აშკარად დარღვევისათვის სტუდენტ ბოჭორიშვილს მიუთითა ჯგუფის სამკუთხედმა, მაგრამ მან მითითება არ მიიღო და სამკუთხედს მიმართა შემდეგი სიტყვებით: **,.თქვენ ვინც პასუხის მგებელი სტუდენტები ხართ აშინებთ ლექტორებს და გიწერენ კარგ ნიშნებსო„** ამ თავხედურ საქციელში სტუდ. ბოჭორიშვილს „მოწყალები„ ხელს უწვდის **სტუდ. თ. გოგვაძე.**

სამწუხაროდ ამ თავხედ სტუდენტებს გვერდს უმშვენებს კ. კ. წევრი **ლიდა კანდელაკი** და პარტ-კანდიდატი **ტოსია ჯაფარიძე.** ისინი იმის ნაცვლად, რომ სამკუთხედს დაეხმარონ დისციპლინის განმტკიცებაში, პირიქით ხელს უშლიან მას.

საჭიროა ფაკულტეტის ორგანიზაციებმა სათანადო ზომები მიიღონ ამ გარემოების წინააღმდეგ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჯგუფის სათანადო მუშაობა სასწავლო საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

**დამსწრე.**

## პარტიული კალენდარი

22 აპრილს (ერთიან პარტიულ დღეს) საღამოს 8-საათზე ტარდება სახ-უნტის პარტ. ორგანიზაციების ღია კრებები. დამუშავდება საკითხი: სასწავლო გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ეკონ. ფაკ. პ/ორგანიზაციის კრება შესდგება კლუბში.

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | პ/ორგანიზატ. **კ. ბაბილოძე** |
| ისტ. ლიტ. ფაკულტ. | „ | „ | აუდიტ- № 88 |
| | | | „ **შ. კალანდარიშვილი** |
| საბუნებისმეტ. ფაკ. | „ | „ | აუდიტ. № 146 |
| | | | პ/ორგანიზატ. **ვ. კაკაბაძე** |
| ფიზ. მათემატიკური | „ | „ | აუდიტ. № 151 |
| | | | პ/ორგანიზატ. **ს. კეკელიძე** |
| ასპირანტურა | „ | „ | აუდიტ. № 75 |
| | | | პ/ორგანიზატ. **კ. აბულაძე** |
| ნაკრები | „ | „ | საპროფესოროში |
| | | | პ/ორგანიზატ. **ა. გასვიანი** |
| მუშფაკი | „ | „ | მუშფაკის კლუბში |
| | | | პ/ორგანიზატორი **ორდენიძე** |

**სარედაქციო კოლეგია**

ტფილისის სახ. უნივერ. ტიპო-ლითოგრაფია შეკ. № 27 მთავლიტი № 332 ტირაჟი 3100.